



ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები

NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 2
- „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 2
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები 2
- „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 3
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები 3
- „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 5
- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 6
- „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები 7
- უცხოელი კონტრანტის მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები 8
- „დიზაინის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები 8

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 17 დეკემბერს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში „კანონი“) განხორციელებული ცვლილებები შეეხო როგორც კანონში განსაზღვრულ ტერმინთა განმარტებებს, ასევე პროცედურულ საკითხებს.

ცვლილებათა პაკეტის მიხედვით განისაზღვრა, რომ 2026 წლის 2 მარტიდან გაუქმდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ხოლო სამსახურის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. 2026 წლის 2 მარტიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მფლობელობაში არსებული დოკუმენტები და ინფორმაცია, აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული სისტემების ადმინისტრირების უფლება.

ცვლილებები ამოქმედდება 2026 წლის 2 მარტიდან.

2. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 26 ნოემბერს შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ (შემდგომში „კანონი“), რომლებიც ამოქმედდება 2026 წლის 1 მარტიდან.

ცვლილებების მიზანია ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების

იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

კანონით განისაზღვრა, რომ ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია დაიცვას გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციები. სანქციადაკისრებულ პირებს დაუყოვნებლივ და წინასწარი შეტყობინების გარეშე უნდა შეეზღუდოთ ფულადი სახსრების, ქონების, აქტივებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობა (გარდა რეზოლუციებით დაშვებული გამონაკლისებისა). გაეროს სანქციების სიაში ცვლილებები ძალაში შედის მათი ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

კანონის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას: პირველად – გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში – 1000 ლარის ჯარიმა. საქმის წარმოებას ახორციელებს შესაბამისი სამსახური მარტივი ადმინისტრაციული წესით, ხოლო სამსახურის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად მედიაციის პროცედურებს ეხება. ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ 150 ლარის სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება: სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიებაზე, კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი მორიგების აღსრულებაზე და საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებებზე.

თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელი შეწყდება (უარი, ცნობა, მორიგება ან

სასამართლო მედიაციით შეთანხმება), ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო თუ აღნიშნული მოხდება მთავარ სხდომამდე - მხარეები სრულად თავისუფლდებიან ბაჟის გადახდისგან.

დაკონკრეტდა წარმომადგენლის უფლებამოსილებები: რიგი მნიშვნელოვანი საპროცესო ქმედებები (მაგ. მორიგება, სარჩელზე უარის თქმა, გასაჩივრება და სხვ.) მხოლოდ სპეციალურად მითითებული მინდობილობით შეიძლება შესრულდეს.

სასამართლო მედიაციის ვადა განისაზღვრა 45 დღით, რომლის ათვლა იწყება საქმის მედიატორისთვის გადაცემიდან და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მინიმუმ 2 შეხვედრა უნდა გაიმართოს.

დარეგულირდა კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი მორიგების აღსრულების პროცედურა: საკითხს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო, როგორც წესი ზეპირი მოსმენის გარეშე 10 დღეში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ზეპირი განხილვით 30 დღეში. ასევე განისაზღვრა საჭირო დოკუმენტების წარდგენის წესი.

ცვლილებები ამოქმედდა 2025 წლის 12 დეკემბერს.

4. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 10 დეკემბრის ცვლილებების შევიდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში „კანონი“). ცვლილებების მიხედვით, განისაზღვრა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ვალდებულება, 2028 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს ონლაინუნივერსიტეტის კონცეფცია/ მოდელი და სტანდარტი.

სახელმწიფო დაფინანსების ნაწილშიც მნიშვნელოვანი დაზუსტებები შევიდა. საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე საქართველოს მოქალაქეთა სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო სხვა პირების დაფინანსების წესსა და პირობებს მთავრობა განსაზღვრავს.

ამასთან, გარდამავალი დებულებით განისაზღვრა, რომ იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც იგი მოიპოვეს 2026 წლამდე, გაგრძელდება 2030–2031 სასწავლო წლის ჩათვლით იმავე პირობებით, რაც მათ ჰქონდათ ცვლილებებამდე. მითითებული ცვლილებები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, კერძოდ 2025 წლის 16 დეკემბერს.

5. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 9 დეკემბერს ცვლილებები შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლებიც ამოქმედდა 2025 წლის 12 დეკემბერს. ცვლილებები შეეხო ვირტუალური აქტივის მომსახურების ცნების დაზუსტებასა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის წესს.

კანონში დაკონკრეტდა ვირტუალური აქტივის მომსახურების ცნება და განისაზღვრა, რომ მას მიეკუთვნება კონვერტირებადი ვირტუალური აქტივების ურთიერთგაცვლა ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, სხვა ვირტუალურ აქტივში ან ფინანსურ ინსტრუმენტში, მათ შორის თვითმომსახურების კიოსკის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციები, აგრეთვე ასეთი აქტივების გადაცემა,

მათი ან მათი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტების შენახვა და ადმინისტრირება, პორტფელის მართვა (კოლექტიური პორტფელის მართვის გარდა), სავაჭრო პლატფორმის ადმინისტრირება, ვირტუალური აქტივების სესხად გაცემა, პირველადი შეთავაზება და მასთან დაკავშირებული მომსახურება. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ეროვნული ბანკის მიერ ნორმატიული აქტით განსაზღვრული სხვა სახის ვირტუალური აქტივის მომსახურებაც.

ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების მიმართ. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს მათი რეგისტრაცია და რეგისტრაციის გაუქმება, შემოწმება და რეგულირება, გასცეს წერილობითი მითითებები და დააწესოს დამატებითი მოთხოვნები, შეზღუდვები და სანქციები. ასევე, ეროვნულ ბანკს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია პროვაიდერის კაპიტალის წარმომავლობის, მნიშვნელოვანი წილის მფლობელებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ, მათ შორის ქონებისა და ფულადი სახსრების წყაროებზე.

კანონით გათვალისწინებულია, რომ ეროვნული ბანკი სამართლებრივი აქტებით ადგენს მოთხოვნებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მნიშვნელოვანი წილის მფლობელების მიმართ, აგრეთვე ადმინისტრატორების შესაფერისობის კრიტერიუმებს.

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ადგილზე ან დისტანციურად შეამოწმოს პროვაიდერების საქმიანობა, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებისა და ანგარიშგების კომპონენტების აუდიტი და მოითხოვოს ნებისმიერი,

მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაცია.

ცვლილებებით ასევე განისაზღვრა, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია შეზღუდოს ან შეუწყვიტოს პროვაიდერის ან შესაბამისი საფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიერ გარკვეული საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელება, მათ შორის ვირტუალური აქტივების სახეების მიხედვით, აგრეთვე სხვა პროვაიდერებთან საქმიანი ურთიერთობა. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანმხლები ინფორმაცია, დააწესოს სანქციები კანონმდებლობისა და საკუთარი ნორმატიული აქტების დარღვევისთვის, განსაზღვროს პროვაიდერების რეგულირების წესი მომსახურების კატეგორიების მიხედვით, დაადგინოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი, აგრეთვე კაპიტალისა და აქტივების მიმართ მოთხოვნები. ასევე, კანონით გათვალისწინებულია, რომ ეროვნული ბანკი ადგენს ვირტუალური აქტივების შენახვისა და რისკების მართვის სტანდარტებს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესებს, პროვაიდერის ლიკვიდაციის წესს და დამატებით მოთხოვნებს.

კანონით განისაზღვრა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2026 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა და მოქმედი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობა ამ ცვლილებებთან.

გარდა ამისა, 2025 წლის 17 დეკემბერს მიღებული ცვლილებებით შეიცვალა ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის წესი. ახალი რედაქციის მიხედვით, მომხმარებლის ან

მსესხებლის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ მხოლოდ შესაბამისი გარიგების მხარეებსა და მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს, ეროვნულ ბანკს, ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში - ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას - სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. სხვა პირებისთვის ასეთი ინფორმაციის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ან მომხმარებლის/მსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდება 2026 წლის 2 მარტიდან.

6. „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 17 დეკემბერს ცვლილება შევიდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ეხება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების წესს. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება 2026 წლის 2 მარტიდან.

ცვლილებით დაკონკრეტდა, თუ ვის შეიძლება მიეწოდოს საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ფულადი სახსრებისა და ელექტრონული ფულის, აგრეთვე განხორციელებული ოპერაციის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ოპერაციის განხორციელების მცდელობის შემთხვევაშიც. კანონის ახალი რედაქციის მიხედვით, ასეთი ინფორმაცია

შეიძლება მიეცეთ თავად საგადახდო მომსახურების მომხმარებელს და მის სათანადოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს, შესაბამისი გარიგების მხარეს, აგრეთვე სასამართლოს — საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამავე ნორმით განისაზღვრა, რომ ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს საგადასახადო ორგანოს საერთაშორისო და ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე, კერძოდ: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის FATCA-ს შესრულების მიზნით დადებული შეთანხმების, „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენციის ფარგლებში „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმების (CRS MCAA), ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიეცეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. დამატებით, ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსრულების ქვემდებარე აქტები, მათი აღსრულების პროცესში. სხვა პირებისთვის აღნიშნული

ინფორმაციის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

7. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 3 სექტემბერს, 2025 წლის 16 ოქტომბერს, 2025 წლის 11 ნოემბერსა და 2025 წლის 17 დეკემბერს ცვლილებები შევიდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში. 3 სექტემბერის ცვლილება (გარდა ცვლილების პირველი მუხლისა) ძალაში შევიდა იმავე დღეს, ხოლო აღნიშნულის პირველი მუხლი - 2025 წლის 18 სექტემბერს. 2025 წლის 16 ოქტომბრის ცვლილება ძალაში შევიდა იმავე დღეს. 11 ნოემბრის ცვლილება (გარდა ცვლილების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა) ძალაში შევიდა იმავე დღეს, ხოლო ცვლილების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდა 2025 წლის 27 დეკემბერს. რაც შეეხება 17 დეკემბრის ცვლილებას, აღნიშნული ამოქმედდება 2026 წლის 2 მარტს.

2025 წლის 3 სექტემბრის ცვლილებით აღსრულებას დაეფემდებარა სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ეხება შესაბამისი პირისთვის დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრებას. აღნიშნულთან დაკავშირებით აღსრულების წესის შემუშავებისა და დამტკიცების უფლებამოსილება კი იუსტიციის მინისტრს განესაზღვრა.

16 ოქტომბრის ცვლილებების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მსჯავრდებულს, რომელიც საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირია,

აეკრძალა საქართველოდან გასვლა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დადგენილი დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან ან სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენთან შესაბამისი პირისთვის დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრებასთან დაკავშირებით, სააღსრულებო წარმოების დაწყების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე.

ასევე, ამავე ცვლილების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165³ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის თაობაზე აღსრულების ეროვნული ბიურო აცნობებს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.

რაც შეეხება 11 ნოემბრის ცვლილებას, აღნიშნულით აღსრულების საფასურის გადახდისა და დაკისრებისგან გათავისუფლებულ კანონით უკვე განსაზღვრულ პირებთან ერთად დამატებით განისაზღვრა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და მისი კრედიტორები.

ასევე, ყადაღადადებული მოძრავი ქონების შემძენის საკუთრებაში გადასვლის შედეგად მასზე არსებული ყველა ყადაღის გაუქმებასთან დაკავშირებით დაწესდა გამონაკლისი. კერძოდ, თუ სახელმწიფოს მიერ განკარგული ქონების იძულებითი აღსრულების წესით რეალიზაცია ხდება, ახალ მესაკუთრესა და ყოველ შემდგომ

მესაკუთრეზე სრულად გადადის ქონების შემძენის მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი საპრივატიზებო

ვალდებულება/ვალდებულებები, აგრეთვე შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები, თუ აღნიშნული ქონების რეალიზაციამდე სათანადო მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების/ვალდებულებების ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია.

17 დეკემბრის ცვლილებით კი აღსრულებას დაექვემდებარა გენერალური აუდიტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების ნაწილში.

8. „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 3 სექტემბერსა და 2025 წლის 16 ოქტომბერს ცვლილებები შევიდა „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნულიდან სექტემბრის ცვლილება ამოქმედდა 2025 წლის 18 სექტემბერს, ხოლო 16 ოქტომბრის ცვლილებები ძალაში შევიდა იმავე დღეს.

3 სექტემბრის ცვლილებებით საქართველოს მოქალაქისთვის ქვეყნიდან დროებითი გასვლისთვის პასპორტის გაცემის საფუძვლად, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნისა და ყალბი ძალის არმქონე საბუთების წარდგენასთან ერთად განისაზღვრა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლითაც პირს აკრძალული აქვს საქართველოდან გასვლა.

აღნიშნული პირობა ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლო საფუძვლადაც განისაზღვრა.

რაც შეეხება 16 ოქტომბრის ცვლილებებს, გაფართოვდა ზემოხსენებული პასპორტის/ემიგრაციის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი და განისაზღვრა შემთხვევა, როდესაც პირს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აკრძალული აქვს საქართველოდან გასვლა და არ წარმოუდგენია ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ მან გადაიხადა დაზარალებულის კომპენსაცია ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აანაზღაურა დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი ანდა დაზარალებული უარს აცხადებს მისთვის დაზარალებულის კომპენსაციის გადახდაზე/მისთვის მიყენებული ზიანის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურებაზე, ან არ წარმოუდგენია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ცნობა სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

ამასთან, უარის თქმის დამატებით საფუძვლად განისაზღვრა შემთხვევა, როდესაც სააღსრულებო წარმოება დაწყებულია დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოდან გასვლა.

აღნიშნული შემთხვევების მიზნებისთვის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის წესი განისაზღვრა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

9. „უცხოელი კონტრაქტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 30 დეკემბერს ცვლილებები შევიდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში „უცხოელი კონტრაქტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“.

ცვლილებებით განისაზღვრა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა დაწესებულებებმა და სახელმწიფოს მიერ 50%-ან 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა საწარმოებმა უცხოელ კონტრაქტებთან საჯარო-სამართლებრივი მიზნების გასატარებლად გასაფორმებელი კერძო ხასიათის ხელშეკრულებებთან მიმართებით უნდა გაითვალისწინონ შემდეგი პირობები:

- ხელშეკრულების პროექტის ტექსტში გამოსაყენებელ სამართლად უცხო ქვეყნის სამართლის ან/და დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო არბიტრაჟის, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მითითების შემთხვევაში ხელშეკრულების პროექტი შესაბამისი უწყებების დასკვნებთან ერთად განსახილველად უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას, ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების მიზნით;
- ხელშეკრულების მოშლის განზრახვისას მის მოშლამდე უნდა არსებობდეს იურიდიული დასკვნა ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული

- ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების თაობაზე;

- ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების შეფასების თაობაზე იურიდიული დასკვნა უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას, მისი შემდგომი შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ცვლილებები ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, კერძოდ 2025 წლის 31 დეკემბერს.

10. „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

2025 წლის 11 ნოემბერს საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებისთანავე, ხოლო, ნაწილი - 2026 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ცვლილებების ძირითად მიზანს დიზაინების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება, ასევე, ამჟამად არსებული ხარვეზების გამოსწორება და ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამედროვე სტანდარტების ქართულ კანონმდებლობაში დანერგვა წარმოადგენდა. კანონში შესული ცვლილებებიდან აღსანიშნავია საშელავათო პერიოდის გავრცელება მესამე პირის მიერ დიზაინის გასაჯაროებაზე. კერძოდ, დიზაინი გასაჯაროებულად დამატებით, არც იმ შემთხვევაში იქნება მიჩნეული, თუ ეს ინფორმაცია მესამე პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე 12 თვის ვადაში.

ცვლილებებით გაფართოვდა დიზაინის ბათილად ცნობის საფუძვლები, ახალი ჩანაწერით, დიზაინის ბათილად იქნება ცნობილი, თუ გასულია

დიზაინის დაცვის ვადა ან გაუქმებულია მისი რეგისტრაცია.

ამასთანავე, ცვლილებებით გათვალისწინებული იქნა დიზაინის ნაწილობრივ ბათილად ცნობა. კერძოდ, დიზაინის შეცვლილი ფორმით რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს ერთი მხრივ, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე, რომლითაც იგი დაცვის დიზაინის ნაწილზე გავრცელებაზე უარს აცხადებს და მეორე მხრივ, რეესტრის მონაცემებში ან განაცხადში სასამართლოს, სააპელაციო პალატის ან დიზაინის ხელახალი ექსპერტიზის იმ გადაწყვეტილების შეტანით, რომლითაც დიზაინის რეგისტრაცია ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი.

ასევე, მნიშვნელოვანი სიახლეა დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების უკუძალის საკითხის განსაზღვრა, რომლის თანახმადაც, დაწესდა, რომ დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას არ აქვს უკუძალა:

- თუ დიზაინაზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა იმავე დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე,
- ზემოაღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დადებული და აღსრულებული გარიგების მიმართ.

დიზაინის გამოქვეყნების გადადების შემთხვევაში, დაწესდა დიზაინის მფლობელის განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვები დიზაინის სადავო გამოყენებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, განისაზღვრა, რომ დიზაინის რეგისტრაციის შემთხვევაში, მის მფლობელს განსაკუთრებული უფლება - ნება დართოს ან აკრძალოს იმ პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა და ასეთი პროდუქტის შენახვა ამ მიზნებისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს, როდესაც დიზაინის სადავო გამოყენება წარმოადგენს რეგისტრირებული დიზაინის რეპროდუცირების შედეგს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ცვლილებებით დაინერგა დიზაინზე ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების პრაქტიკაც, რაც დაინტერესებულ მხარეს უფლებას ანიჭებს, კანონში არსებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დიზაინის რეგისტრაციის მოქმედების ვადის განმავლობაში მოითხოვოს დიზაინზე ხელახალი ექსპერტიზის ჩატარება.

დამატებით, სიახლეს წარმოადგენს ასევე, წინასწარი ძიების პრაქტიკის დანერგვა, რომლის შესაბამისადაც, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, მიმართოს სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - „საქპატენტს“ წინასწარი ძიების მომსახურების მისაღებად, რათა დადგინდეს, არის თუ არა კონკრეტული დიზაინის იდენტური დიზაინი დაცული საქართველოში საქპატენტში რეგისტრაციის ან დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედების გავრცელების გზით. განცხადებით მიმართვის შემდგომ, საქპატენტი ახორციელებს წინასწარ ძიებას და მის შედეგს აცნობებს დაინტერესებულ პირს მის მიერ წინასწარი ძიების მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის გადახდიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ცვლილებების ამოქმედებამდე „საქპატენტში“ დაწყებული საქმისწარმოება გაგრძელდება ძველი რეგულაციების შესაბამისად და ასეთ წარმოებებზე აღნიშნული ცვლილებები არ გავრცელდება.

საკონტაქტო ინფორმაცია:


*საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28*

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

მობილური: (+995) 555 018585

ელ-ფოსტა: info@nplaw.ge

www.nplaw.ge



**NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS**